ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. ნოემბრის 29. № 29 ტფილისი.

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

179. სასოფლო საბჭოების საფინანსო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა.

180. ტფილისის საქალაქო საბჭოსათვის საწარმოთა მიერ სათბობი და საცხები მასალის შენახვის, აღრიცხვისა და ხარჯვის მომწესრიგებელ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ.

181. ლოტერეისა და სანებაყოფლო გამოსაღებთა თაობაზე არსებული საერთო-საკავშირო კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

182. 1935/36 წლის საშემოდგომო და საზაფხულო თესვის უკეთესად ჩატარების კონკურსის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

183. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში სახლების ნებადაურთველი მშენებლობის მოსპობის ღონისძიებათა შესახებ.

განათლება.

184. საბავშვო ბაღების—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

185. მღრღნელებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

179. დადგენილება ს.კ.ს.

046.7

სასოფლო საბჭოების საფინანსო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

სასოფლო საბჭოების საფინანსო მუშაობის გაუმჯობესებისა და მომზადებული საიმედო საფინანსო კადრებით განმტკიცების მიზნით, და „სასოფლო საბჭოების საფინანსო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგ-

ვისტოს 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 42 მუხ. 358) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადგენილ იქნას 1935 წ. მე-IV კვარტალის განმავლობაში სასოფლო საბჭოებთან სახაზინადრო მოვალეობათა აღსრულების შემდეგი წესი:

ა) იმ სასოფლო საბჭოში, რომელიც აერთიანებს 600-ზე მეტ კომლს, შემოღებულ იქნას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა საფინანსო მუშაობისათვის და დაეკისროს მას სასოფლო საბჭოს ხაზინადრის მოვალეობანი;

ბ) იმ სასოფლო საბჭოში, რომელიც 600-მდე კომლს აერთიანებს, ამა მუხლის „ბ" პუნქტში აღნიშნული სასოფლო საბჭოების გამოკლებით, ხაზინადრის მოვალეობანი დაეკისროს სასოფლო საბჭოს მდივანს და დაენიშნოს მას დამატებითი სასყიდელი სახაზინადრო მუშაობისათვის 15 მანეთიდან 30 მანეთამდე თვეში;

გ) იმ სასოფლო საბჭოში, რომელიც აერთიანებს 200-ზე ნაკლებ კომლს, უკეთუ მოანგარიშის თანამდებობაზე სპეციალური მომუშავე არ არის დანიშნული და ანგარიშწარმოება დაკისრებული აქვს სასოფლო საბჭოს მდივანს, ხაზინადრის მოვალეობანი დაეკისროს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, სპეციალური დამატებითი სასყიდლით სახაზინადრო მუშაობისათვის 15 მანეთიდან 25 მანეთამდე თვეში.

2. წინადადება მიეცეს საარაონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შემოიღონ სასოფლო საბჭოებში საფულე ყუთები (რკინისა ან რკინით მოჭედილი) საიმედო კლიტეებით—ისეთი ვარაუდით, რომ 1936 წ. იანვრის 1-თვის ყველა, გამოუკლებლივ, სასოფლო საბჭო უზრუნველყოფილ იქნას საფულე ყუთით.

დაწესებულ იქნას, რომ საფულე ყუთში უნდა ინახებოდეს მთლად ხელთქონებული ფული, რაც სასოფლო საბჭოში შემოდის, სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ან შემნახველ სალაროში ჩაბარებამდე, აგრეთვე ქვითარები, ფულადი დოკუმენტები, ფასიანი სახელმწიფო ქაღალდები და სხვა ფასიანი დოკუმენტები.

დაწესებულ იქნას, რომ საფულე ყუთის გასაღები ინახება სასოფლო საბჭოს ხაზინადართან ან იმ პირთან, რომელსაც დაკისრებული აქვს სახაზინადრო მოვალეობათა აღსრულება.

3. დაევალოს სასოფლო საბჭოებს—დააწესონ სასოფლო საბჭოს სადგომის მუდმივი დაცვა სასოფლო აღმასრულებლების მიერ.

4. დაწესებულ იქნას, რომ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე პირდაპირ პასუხს აგებს სასოფლო საბჭოს სალაროს შენახვისათვის, ხაზინადრის მიერ ფულის წესიერი მიღებისა და გაცემისათვის და აგრეთვე მოანგარიშის ან მდივნის მიერ ქვითარებისა და სასოფლო საბჭოს სხვა ფულადი დოკუმენტების წესიერი გაფორმებისათვის.

5. დაწესებულ იქნას, რომ სახსარს სასოფლო საბჭოს სალაროდან გასცემს სასოფლო საბჭოს ხაზინადარი ან სახაზინადრო მოვალეობათა აღმსრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი პირი მხოლოდ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის წერილობითი ბრძანებულებით სამუშაო ხელფასის უწყისზე, ანგარიშზე ან სხვა სახარჯო დოკუმენტზე.

6. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ჩაატარონ 1935 წლის ბოლომდე სასოფლო საბჭოების მოანგარიშეთა პირადი შედგენილობისა და მათი საქმიანობის კვალიფიკაციის შემოწმება და უზრუნველყონ სასოფლო საბჭოები საიმედო მოანგარიშეებით.

7. დადგენილ იქნას როგორც წესი, რომ სასოფლო საბჭოს მოანგარიშე შეიძლება დაინიშნოს სამუშაოზე ან მოიხსნას სამუშაოდან მხოლოდ სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობის შემდეგ, სარაიონო საფინანსო განყოფილების გამგის მოხსენებისამებრ.

8. შემდეგი დროისათვის სასოფლო საფინანსო მომუშავეთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) უზრუნველყოს, რათა სასოფლო საბჭოს თვითეულმა მოანგარიშემ აუცილებლად გაიაროს ანგარიშწარმოების ორ-სამთვიანი კურსები—იმ კანონების სავალდებულო შესწავლით, რომელთა ცოდნაც საჭიროა მოანგარიშეთათვის მათ მუშაობაში; ამასთანავე, სტაციონარული კურსების გახსნა დაკავშირებულ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან სასოფლო საფინანსო მომუშავეთათვის უკვე არსებულ დაუსწრებელ კურსებზე;

ბ) მოაწყოს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით, ოთხექვსთვიანი კურსები სასოფლო საბჭოების მდივანთათვის—იმ კანონების სავალდებულო შესწავლით, რომელთა ცოდნაც საჭიროა სასოფლო საბჭოების მდივანთათვის მათ მუშაობაში, აგრეთვე საჭირო სახაზინადრო საქმის საფუძვლების შესწავლით;

გ) შემოიღოს პრაქტიკად სასოფლო საბჭოების მდივანთა და მოანგარიშეთა პერიოდული სარაიონო და კურსობითი საინსტრუქტორო თათბირების ჩატარება სასოფლო საბჭოების საფინანსო მუშაობის ყველა მორიგი საკითხისათვის;

დ) მოაწყოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, შეგირდობა სასოფლო საბჭოების მდივანთა და მოანგარიშეთა მოსამზადებლად—სასოფლო საბჭოების უფრო გამოცდილ და საიმედო მდივნებთან და მოანგარიშეებთან 2-3 თვით ახალგაზრდა მომუშავეთა მივლინებით, უპირველეს ყოვლისა კომკავშირელთაგან.

9. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ღონისძიებანი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1935 წ. აგვისტოს 3-ის, დადგენილების 1-ლ, მე-3 (ნაწ. I), 7—9, (ნაწ. II), 17 და 20 მუხლებში აღნიშნული წესების ზედმიწევნით შესრულებისათვის.

10. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—უზრუნველყონ, რათა სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაამტკიცონ 1936 წლის სასოფლო ბიუჯეტები არავითარ შემთხვევაში არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 1-ისა.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გამოსცეს სასოფლო საბჭოების მუშაობის წესების კრებული.

12. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მიუჩინონ სარაიონო საფინანსო განყოფილებათ ცხენები (1—2 ცხენი), რომლებიც სრულ მათ განკარგულებაში უნდა იყვნენ, რისთვისაც გამოყონ საჭირო სახსარი 1935 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით.

13. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინოს 1936 წლის ბიუჯეტით თანხები, რაც საჭიროა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 3-ის დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ რაიონებისათვის გამოსაყოფი ველოსიპედების შესაძენად სარაიონო საფინანსო განყოფილებათა ინსპექტორებისათვის და ავტომობილების შესაძენად უფრო დიდი რაიონების საფინანსო განყოფილებებისათვის.

14. ამა დადგენილებით გამოწვეული ხარჯები ღონისძიებათა იმ ნაწილისთვის, რაც განხორციელებულ უნდა იქნას მიმდინარე წელს, მიეკუთვნოს სათანადო ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტს 1935 წლისათვის დამტკიცებული საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ფარგლებში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. სექტემბრის 26. № 1333.
ტფილისი

სახელმწიფო მმართველობა

1144.7
1153.3

180. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ტფილისის საქალაქო საბჭოსათვის საწარმოთა მიერ სათბობი და საცხები მასალის შენახვის, აღრიცხვისა და ხარჯვის მომწესრიგებელ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მიენიჭოს ტფილისის საქალაქო საბჭოს უფლება გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი, რომლებითაც მოწესრიგდება სათბობი და საცხები მასალის შენახვა, აღრიცხვა და ხარჯვა.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ულენტი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1935 წ. სექტემბრის 11. № 81/1379-a.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

181. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ლოტერეასა და სანებაყოფლო გამოსაღებთა თაობაზე არსებული საერთო-საკავშირო კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შეტანილ იქნას ცვლილებანი შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული, ბავშვთა ცხოვრების პირობების გამაუმჯობესებელი კომისიის დებულებაში (საქ. სსრ. კან. კრ. 1932 წ. მე-3 №-ი, მუხ. 25):

მე-15 მუხლის „ა" პუნქტი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[15. კომისიის სახსარს შეადგენს]:

„ა) ნებაყოფლობითი შენატანი—ერთდროული და პერიოდული".

2. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ, მე-11 №-ი, მუხ. 63):

მე-13 მუხლის „დ" პუნქტში ამოიშალოს სიტყვა „ლოტერეების".

3. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-11 №-ი, მუხ. 64):

მე-13 მუხლის „დ" პუნქტში ამოიშალოს სიტყვა ლოტერეებით.

4. სრულიად საქართველოს ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელების და წითელფლოტელებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტის რიგებში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოების დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-12 №-ი, მუხ. 65):

მე-12 მუხლის „გ" პუნქტი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[12. საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების სახსარს შეადგენს: .....]

„ბ) ლექციების, კონცერტების, სალიტერატურო საღამოების, წარმოდგენების, კინო-სეანსების, გამოფენების, ბაზრობის, სალიტერატურო გამოცემებისა და სხვა მისთ. შემოსავალი და სხვა რამ მინაღები.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ჟღენტი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოდგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1935 წ. სექტემბრის 16. № 74/1085.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

182. დადგენილება ს.კ.ს.

1935/36 წლის საშემოდგომო და საზაფხულო თესვის უკეთესად ჩატარების კონკურსის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოცხადებულ იქნას რესპუბლიკანური კონკურსი უკეთეს რაიონზე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურზე, კოლექტიურ მეურნეობაზე და აგრონომზე, რომელთაც ამაგალითოდ მოაწყვეს და ჩაატარეს 1935/36 წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვა.

2. კონკურსისათვის პრაქტიკული ხელმძღვანელობისა და ჩატარებისათვის კონტროლის გასაწევად, აგრეთვე საკონკურსო მასალის განსახილველად და სხვა მისთ. გამოყოფილ იქნას რესპუბლიკანური საკონკურსო კომისია ამხ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით და შემდეგი შედგენილობით: ამხანაგნი მათიკაშვილი, ხამგალაძე, მაზდრინი, ქიქოძე და ზეინალოვი.

3. ხელმძღვანელობის გაწევა ადგილობრივ კონკურსის ჩატარებისათვის დაეკისროს სარაიონო საკონკურსო კომისიებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და შემდეგი შედგენილობით: სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორი, სარაიონო გაზეთის რედაქტორი და მოწინავე კოლექტიური მეურნეობების წარმომადგენელნი.

4. კონკურსის შედეგები გამორკვეულ უნდა იქნას 1936 წ. ოქტომბრის 1-თვის.

5. დადგენილ იქნას კონკურსის შემდეგი პირობები:

I. რაიონებისათვის:

ა) თესვის გეგმების მიწვდენა კოლექტიურ მეურნეობებამდე მათ მიერ მიღებული თესლბრუნვის შესაბამისად;

ბ) სათესად ნიადაგის განმზადება დადგენილი აგროტექნიკის მიხედვით და ნაკელის შეტანის გეგმის ათვისება;

გ) თავის დროზე სათესი და სადაზღვეო ფონდების დაგროვება და მაღალი კონდიციის თესლით ნათესების უზრუნველყოფა; თესლის გაწმენდა, სასოფლო-სამეურნეო ვარგისობის შემოწმება, დაწამლვა და წესიერად შენახვის ორგანიზაცია;

დ) მწკრივად თესვის, ჯიშიანი თესლის თესვისა და სარწყავ რაიონებში დათესვისთანავე მორწყვის გეგმის ათვისება;

ე) ქოხ-ლაბორატორიების ქსელისა და მასური საცდელობის ორგანიზაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) კოლექტიურ მეურნეობებში შრომის წესიერი ორგანიზაცია;

ზ) მასური მუშაობის ორგანიზაცია კოლექტიურ მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების სექტორში;

თ) თესვის გეგმის აღსრულება დადგენილ ვადაზე;

ი) მძრალად ხვნის გეგმის თვისებრივი და რაოდენობრივი აღსრულება;

კ) თავის დროზე მორწყვის, თოხნისა და მავნებლებთან ბრძოლის ჩატარება და მოსავლის უდანაკარგებოდ აღება;

ლ) რაიონის მიერ მოსავლიანობის გეგმის გადამეტებით აღსრულება.

II. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის:

ა) სატრაქტორო სამუშაოების თვისებრივი და რაოდენობრივი აღსრულება;

ბ) სათბობი მასალის ეკონომიურად ხარჯვა;

გ) სატრაქტორო სამუშაოებისა და სათბობი მასალის აღრიცხვის სამაგალითოდ დაყენება;

დ) მწკრივად თესვისა და ჯიშიანი თესლით თესვის გეგმის აღსრულება;

ე) კოლექტიურ მეურნეობებში შრომის წესიერი ორგანიზაცია;

ვ) თესვის აგროწესების რეალიზაციისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა;

ზ) თესვის გეგმის ვადაზე აღსრულება და მოსავლიანობის გეგმების გადამეტებით აღსრულება მომსახურეობაგასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში;

თ) ქიმ-ლაბორატორიების ქსელისა და მასური საცდელობის ორგანიზაცია.

III. კოლექტიური მეურნეობისათვის:

ა) თავის დროზე სათესად ნიადაგის განმზადება, მოხვნა, გადახვნა, დაფარცხვა და მთლად ქონებული ნაკელის შეტანა;

ბ) მაღალი კონდიციის თესლის თესვა და განთესვის დადგენილი ნორმის დაცვა; მწკრივად თესვის და ჯიშიანი თესლით თესვის გეგმის ათვისება;

გ) თესვის გეგმის შემჭიდროებულ ვადაზე აღსრულება; მორწყვა დათესვისთანავე (სარწყავ რაიონებში), წყლის რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით; ჯეჯილის ამოსვლის დროს გამოთესვის ჩატარება, როდესაც ნათესი თხელია; სარეველის მარგვლა;

დ) საშემოდგომო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლა მინდვრად და თესლსაცავებში;

ე) საშემოდგომო ნათესების წესიერი განაწილება სათესლბრუნვო მინდვრებზე და მოსავლიანობის განსაზღვრა კოლექტიური მეურნეობისა და ცალკეული ბრიგადებისათვის;

ვ) შრომის წესიერი ორგანიზაცია და გამომუშავების ნორმების აღსრულება;

ზ) მასური მუშაობის ორგანიზაცია: დამკვრელობა, სოცშეჯიბრება, გეგმების დამუშავება და თესვის დავალებათა მიწვდენა კოლმეურნეებამდე, კედლის გაზეთები, „ილიჩოვკები", ტემპების დაფა და სხვა მისთ.

თ) საგაზაფხულო კულტურების დასათესად მძრალად ხვნის გეგმის ვადამდე შესრულება;

ი) მოსავლიანობის გეგმის გადამეტებით აღსრულება.

IV. აგრონომიმუშაველებისათვის:

ა) კოლექტიურ მეურნეობებში თესვის გეგმის დამუშავების თვისება: ნათესების განაწილება თესლბრუნვის ნაკვეთებზე და დარღვეული თესლბრუნვის გამოსწორება; თესვის ვადების, განთესვის ნორმების, ცალკეული ნაკვეთების მოსავლიანობისა და გამომუშავების ნორმების განსაზღვრა და სხვა მისთ.;

ბ) აგრონომის მონაწილეობა და ხელმძღვანელობა: ა) მარცვლეულის წესიერად შენახვის ორგანიზაციაში; ბ) სათესად ნიადაგის განმზადებაში; გ) სათესლე მასალის გაწმენდის ჩატარებაში; დ) ანალიზისათვის მარცვლის ნიმუშების გადარჩევაში; ე) სათესლე მასალის დაწამლვაში; ვ) სათესლე-საკონტროლო ლაბორატორიების ცნობების პრაქტიკულად გამოყენებაში;

გ) მომსახურეობაგასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში თესვის უზრუნველყოფა დადგენილი აგროტექნიკის მიხედვით; სისტემატური მეთვალყურეობის გაწევა მუშაობის თვისებისათვის თესვის პროცესში და მოსავლიანობის გეგმის გადამეტებით აღსრულება;

დ) ჯიშიანი თესლის მთლად გამოყენება მომსახურეობა გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში;

ე) მასური საცდელობისა და ქოხ-ლაბორატორიების მუშაობის ორგანიზაცია.

6. კონკურსის გამოჩინებულ მონაწილეთა დასაპრემიებლად გამოყოფილ იქნას შემდეგი პრემიები:

რაიონებისათვის გამოიყოს სამი პრემია:

1-ლი პრემია—სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი დროშა, მსუბუქი მანქანა და ფულად 3.000 მან.—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სასოფლო საბჭოების მომუშავეთა და ცალკეულ კოლმეურნეთა დასაპრემიებლად;

მე-II პრემია—მსუბუქი მანქანა და ორი ქოხ-ლაბორატორიის განყოფილება.

მე-III პრემია—სარაიონო აგროკაბინეტის გაწყობილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტიური მეურნეობებისათვის გამოიყოს სამი პრემია:

1-ლი პრემია—სატვირთო ავტომანქანა და ქოხ-ლაბორატორიის გაწყობილობა.

მე-II პრემია—საბავშვო ბაგათა გაწყობილობა 25 ბავშვისათვის და ქოხ-ლაბორატორიის გაწყობილობა.

მე III პრემია—საბავშო ბაგათა გაწყობილობა 20 ბავშვისათვის და ქოხ-ლაბორატორიის გაწყობილობა.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის გამოიყოს ერთი პრემია:

მსუბუქი მანქანა.

სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უფროსი და ჯგუფური აგრონომისათვის გამოიყოს ექვსი პრემია:

I-ლი პრემია:

სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უფროსი აგრონომებისათვის—ფულად 1.000 მან. და თვენახევრით სამეცნიერო წარვლინება;

ჯგუფური აგრონომებისათვის—ფულად 500 მან., ველოსიპედი და ხელის საათი.

მე-II პრემია:

უფროსი აგრონომებისათვის—ფულად 500 მან. და ერთი თვით სამეცნიერო წარვლინება;

ჯგუფური აგრონომებისათვის—ველოსიპედი და ხელის საათი.

მე-III პრემია:

უფროსი აგრონომებისათვის-ფულად 500 მან. და ველოსიპედი;

ჯგუფური აგრონომებისათვის—ველოსიპედი.

7. განისაზღვროს დაპრემიების შემდეგი წესი:

სარაიონო საკონკურსო კომისიები წარადგენენ კოლექტიური მეურნეობებისა და აგრონომების სიებს—მაჩვენებლებითურთ—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, რესპუბლიკანურ კომისიაში წარსადგენად, ხოლო ცალკეულ რაიონებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს წარუდგენს რესპუბლიკანურ კომისიას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. პერსონალურ პრემიებს გასცემენ სარაიონო საკონსურსო კომისიები, გარდა აგრონომებისა, რომელთაც დააპრემიებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართვ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. ოქტომბრის 19. № 1443.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

183. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

622

ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში სახლების ნებადაურთველი მშენებლობის მოსპობის ღონისძიებათა შესახებ.

ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში თვითნებისად, დადგენილი წესისამებრ პროექტების დაუმტკიცებლად სახლების მშენებლობის მოსპობისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა იგება დადგენილი წესისამებრ პროექტის დაუმტკიცებლად, საქალაქო საბჭო (სარაიონო საბჭო, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი) წინადადებას აძლევს შენობის მფლობელს მოშალოს იგი მიწის ნაკვეთზე, რისთვისაც უნიშნავს მას საჭირო ვადას, ხოლო არა ნაკლებ ათი დღისა. უკეთუ მფლობელი არ შეასრულებს ამ მოთხოვნას დანიშნულ ვადაზე, საქალაქო საბჭოს უფლება აქვს მოახდინოს განკარგულება შენობის მოშლის შესახებ მფლობელის ხარჯზე.

შენიშვნა. დადგენილება ესე ვრცელდება იმ შენობებზედაც, რომელთა აგებაც ნებადართული არ არის და რომლებიც დამთავრებულ არ იქნებიან ამა დადგენილების გამოქვეყნების დროისათვის.

2. ამა დადგენილებას ძალა აქვს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩათვლით.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ჟღენტი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ვაშაკიძე.**

1935 სექტემბრის 16. № 75/1345
ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

184. დადგენილება ს.კ.ს

612.1

საბავშვო ბაღების—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

„საბავშვო ბაღების მუშაობის მოწესრიგებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისის 6-ის დადგენილების აღსრულებისათვის (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 35 №-ი, მუხ. 309) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს ყველა იმ საწარმოს და დაწესებულებას, რომელთანაც არსებობს საბავშვო ბაღი, გადასცეს იგი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. ოქტომბრის 19. № 1444.

ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

185. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მღრღნელებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

926.1

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმდეს:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 25-ის დადგენილება „ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრ. 1935 წ. მე-17 №-ი, მუხ. 105);

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო 1935 წ. სექტემბრის 16-ის დადგენილება „ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 25-ის დადგენილების შეცვლის შესახებ“.

2. ნება დაერთოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს განახორციელონ მღრღნელებთან ბრძოლის ღონისძიებანი ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში ხელშეკრულებათა საფუძველზე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ჟღენტი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ვაშაკიძე.**

1935. წ. ოქტომბრის 11. № 80 1378.

ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 57. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 21/X; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI; ტირაჟი 1.800

თავლ. რწმ. № 8706 საქ. სახკომსაბჭოს სტამბა შეკვ. № 1351